# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 101

„6" აპრილი 2015 წ

ქ. თბილისი

**აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2011 წლის 22 თებერვლის №ე-5-456 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირებით) გათვალისწინებული შეზღუდვის მოხსნაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 75-ე მუხლის „დ.ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.10.06.014.085) აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი 2011 წლის 22 თებერვლის №ე-5-456 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირებით) გათვალისწინებული შეზღუდვის - „მშენებლობისა და შემოღობვის უფლების გარეშე" თანდართული გრაფიკული ნახაზის შესაბამისად მოხსნაზე იმ პირობით, რომ შპს „მიგ ჯგუფის" (ს/კ: 405017379) მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადახდილი იქნება 17 600 (ჩვიდმეტი ათას ექვსასი) ლარი.
2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი